

## ნათელა მუზაშვილი

### წინ-, წინასწარ- აფიქსოიდთა გაფორმებისათვის

აფიქსოიდები სხვა ენებიდან (ძირითადად – ბერძნულ-ლათინური ენებიდან) მზამზარეულად შემოტანილი სტრუქტურული ელემენტებია, რომლებსაც ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდა (ზოგჯერ ეს მნიშვნელობა მთლიანად დაკარგული არ აქვთ), თუმცა დაუკარგავს, რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილად ქცეულა და სიტყვის მაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია მიუღია. აქედანაა მიღებული მათი სახელწოდება – აფიქსოიდი, ანუ აფიქსის მსგავსი. სიტყვებში – ანემოგრაფი, ოსცილოსკოპი, ფსიქომეტრი, ეკოლოგია და ა. შ. მორფემები: **-გრაფი-**, **-სკოპი-**, **-მეტრი-**, **-ლოგია** აფიქსოიდებია (რ. ლამბაშიძე).

თითოეულ ამ აფიქსოიდს თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს. აფიქსოიდები ხან თავში დაერთვიან სიტყვას, ხან – ბოლოში. ამის მიხედვით განიყოფება პრეფიქსოიდებად და სუფიქსოიდებად. პრეფიქსოიდებია: **აერო-**, **გეო-**, **მიკრო-**, **ვიდეო-**, **მაკრო-** და სხვ. (აეროვაგზალი, გეომაგნეტიზმი, მიკროანალიზი, მაკროსტრუქტურა, ვიდეოსიგნალი და სხვ.). სუფიქსოიდებია: **-საწინალო**, **-გამტარი**, **-საჭერი**, **-მაგალი**, **-მედეგი** და სხვ. (მეხსაწინალო, ატომსაწინალო...; ზეგამტარი, შუქგამტარი...; თევზსაჭერი, ქვასაჭერი ...; თბომავალი, ელექტრომავალი...; ძრავამავალი და სხვ.).

ტერმინთა ასაგებად გამოყენებული ეს ელემენტები, ანუ აფიქსოიდები, საერთაშორისო ენობრივ მასალადაა ქცეული, ამიტომ მათ საერთაშორისო აფიქსოიდებს უწოდებენ. ისინი სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს ქმნის. სხვაობა მხოლოდ ფუძეებთან კომბინაციაში იჩენს თავს. აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები ხელაღებით არც რთულ სიტყვებად შეიძლება ჩაითვალოს და არც ნაწარმოებად. ესაა გარდამავალი ჯგუფი რთულსა და ნაწარმოებ სიტყვებს შორის [ლამბაშიძე 1986: 142-149]. ამგვარ სიტყვებში ერთი ნაწილი რეგულარულად გამოიყენებოდა, როგორც ყალიბი სხვა დერივატების საწარმოებლად. აფიქსოიდებით ტერმინების აგებას ხელს უწყობს ერთნაირი კატეგორიის ცნებებისათვის ერთნაირი მოდელების შემუშავება და

სალიტერატურო ნორმების მიხედვით გამართვა. აფიქსოიდური წარმოება წმინდა ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებითი საშუალებაა, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება ტერმინთა საწარმოებლად, ამიტომ მისი სპეციალური შესწავლა მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ტერმინოლოგიური მასალის ანალიზმა გამოავლინა, რომ კომპოზიცია ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა უცხო ტერმინთა საწარმოებლად, მათ შორის უდიდესი წილი მოდის აფიქსოიდურ წარმოებაზე [დათეშიძე 2013: 147].

ქართულში აფიქსოიდები როგორც ფორმოზრივად, ასევე სემანტიკურად ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს, როგორსაც რუსულში. აფიქსოიდების როლში ხშირად ისეთი მორფემები გვაქვს, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგული აქვს (**გადამეტ-**, **კმა-**, **თბო-**, **ზადი-**, **-ნაგი** და სხვ.). მაგ.: გადამეტხურება, გადამეტმოდულაცია, გადამეტცივებული და სხვ.; თბოიზოლაცია, თბომავალი, თბომიმღები...; კმაზურღვა, კმამჟანგავი...; წყალბადი, ჟანგბადი, ნახშირწყალბადი...; ფიცარნაგი, ქვანაგი... გვაქვს შემთხვევები, როცა სიტყვებს ეს დამოუკიდებლობა დაკარგული არა ქვს და ხშირად აფიქსოიდის ფუნქციას ასრულებს (**დაბალ-**, **მცირე-**, **ცრუ-**, **ნახევარ-** და სხვ.). მაგ.: დაბალმდულარე, დაბალკალორიული, დაბალტონიანი...; მაღალპოლიმერი, მაღალმდულარე...; მცირეთერმული, ნახშირმცირე...; ცრუევტექტიკური, ცრუკლასიციზმი...; ნახევარდიზელი, ნახევარქურო, ნახევარლუზა და სხვ. [ლამბაშიძე 1986: 149-158].

გვინდა ამჯერად შევხვით **წინა-**, **წინასწარ-** აფიქსოიდებს. **წინ** ადგილის ზმნიზედაა, თუმცა ხშირია მისი გამოყენება ზედსართავის ფუნქციით. ამ შემთხვევაში იგი იღებს თავდაპირველ ფორმას – **წინა**. ძველ ქართულში **წინ** ზმნიზედის ფორმა არის **წინა** [შანიძე 1953: 596]. ქართულში **წინა** ხშირ შემთხვევაში პრეფიქსოიდია, მისი შესაბამისი რუსულში არის **перед-**, **до-**. ეს პრეფიქსები რუსულში პრეფიქსოიდებია, რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილია: **передотделочный** – წინაგამომყვანი, **догеологический** – წინაგეოლოგიური; **предкамера** – წინაკამერა და სხვ. ქართულში **წინა-** პრეფიქსოიდი სისტემურ მოდელს ქმნის. მისი პრეფიქსოიდად გაფორმების პრინციპი დაცულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. მაგ.: წინაგული, წინადარბაზი, წინადრო, წინადღე, წინაერდო, წინაკვირა, წინამხთრობელი, წინამოადგილე, წინატვინი, წინასამზადისი, წინაპირობა და სხვ. პრეფიქსოიდია **წინა** ქართულ-რუსულ ლექსი-

კონშიც: წინამოადგილე, წინათაზი, წინატერფი და სხვ.

სხვადასხვა სახელმძღვანელოში, დარგობრივ ლექსიკონებსა და პუბლიცისტურ მასალაში **წინას** გააზრება პრეფიქსიოდად ერთგვაროვანი არ არის. 1998 წლის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **წინა** პრეფიქსიოდიცაა და ზედსართავიც: წინა გული, წინა პირობა, წინა თაობა, წინა ღამე, წინა ტვინი, წინა დღე; მიმღეობიან ფორმებთან **წინა** პრეფიქსიოდიცაა: წინაგანზრახული, წინადაცვეთილი, წინადროინდელი... მსგავსადაა გაფორმებული მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ და სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონებშიც. „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ **წინას** გაფორმებისას იმეორებს ზემოთ განხილული ორთოგრაფიული ლექსიკონის პრინციპს იმ განსხვავებით, რომ ლექსიკურ ერთეულში **წინაპირობა – წინა** პრეფიქსიოდიცაა.

შეიძლება ითქვას, ჭრელი სურათია ამ მხრივ დარგობრივ ლექსიკონებში. **წინა** პრეფიქსიოდიცა: სპორტის ტერმინოლოგიაში (წინასატურნირი), ავტოტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტერმინოლოგიაში (წინაკამერა, წინაკამერული), მეტალურგიის ტერმინოლოგიაში (წინადაჭიმულობა), გეოფიზიკის ტერმინოლოგიაში (წინაფრონტალური, წინამორბედი), ბიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებით ლექსიკონში (წინაზრდილი), ფსიქიატრიულ ენციკლოპედიაში (წინაცნობიერი, წინამორბედი), ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (წინაზურდი, წინაკამერა, წინაკვანძი, წინასახნისი, წინაეგტექტიკური და სხვ.). არაერთგვაროვანია გაფორმება ენერგეტიკის ლექსიკონში. ორ შემთხვევაში პრეფიქსიოდიცაა (წინაკამერა, წინასაცეცხლე), დანარჩენ მაგალითებში ზედსართავი გაგება აქვს (წინა ლილვი, წინა პანელი, წინა ჩოხალი...). სრულიად აღრეულია **წინას** გაფორმება სამედიცინო ორთოგრაფიულ ლექსიკონში. მასში ძირითადად **წინა** პრეფიქსიოდიცაა: წინაგული, წინადაცვეთა, წინაჭავლი, წინასაოპერაციო. ფორმების ერთნაირი პრინციპი დაცული არ არის. **წინა ტერფში** ზედსართავულია, მაგრამ **წინატერფ-ვალანგთა** ფორმაში **წინა** პრეფიქსიოდიცაა. გაუგებარია, რატომ არ არის ფორმაში – **წინა გასწერივი წინა** პრეფიქსიოდიცა.

ჩვენ გავეცანით პუბლიცისტური წერილების, მასმედიის ენობრივი მასალის კორპუსს, რომელშიც **წინა** პრეფიქსიოდად საერთოდ არ მოიაზრება და მხოლოდ შესიტყვებებშია წარმოდგენილი, ანუ ზედსართავი გაგება აქვს: წინა ისტორია, წინა გული, წინა

ზამთარი, ძილის წინა ლოცვა, წინა გვერდი, წინა ტვინი და სხვა მრავალი ფორმა.

ამრიგად, შესწავლილი მასალის საფუძველზე აშკარაა, როგორი სირთულე გვხვდება **წინა** პრეფიქსიდიის გაფორმებისას. სურათი არაერთგვაროვანია, გაფორმებისას სიჭრელეა, ერთი პრინციპი დაცული არ არის. დარგობრივი ლექსიკონების შემდგენნი ეყრდნობიან აკადემიურ ლექსიკონებს, თუმცა მათშიც განსხვავებაა. როგორც ვნახეთ, **წინაპირობა** რთულ სიტყვად გაფორმებული იყო მხოლოდ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და ბოლოს პრეფიქსიოდად ჩაითვალა „მართლწერის ლექსიკონში მედიისათვის“. ცხადია, ეს სიტყვა კონკრეტულ წინასწარ პირობას კი არ გულისხმობს, არამედ პირობას, რომელიც აუცილებელია რაღაცის მოსახდენად. პრეფიქსიოდად უნდა ჩაითვალოს **წინა** შესიტყვებაში – **წინა პლანზე**, რომელიც ძირითადად გულისხმობს უმთავრესის, რაიმე მნიშვნელოვნის წინ წამოწევას; **წინა** პრეფიქსიოდი უნდა იყოს შესიტყვებებში: წინა ტვინი, წინა გული, რომლებშიც მდებარეობას კი არ აღნიშნავს, არამედ გარკვეულ ნაწილს, არ არსებობს უკანა ტვინი ან უკანა გული. ასევეა **წინა მხარი**, რომელიც გულისხმობს ნაწილს იდაყვიდან მაჯამდე. ხშირად სპეციალისტები აცნობიერებენ იმ ფაქტორს, რომელიც მათ **წინას** პრეფიქსიდად მოააზრიანებთ. სწორედ ამიტომ გაფორმდა **წინაგული** რთულ სიტყვად სამედიცინო ორთოგარფიულ ლექსიკონში. მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **წინა** ზმნიზედამ დაკარგა უმთავრესად თავისი პირვანდელი ფუნქცია, დამოუკიდებელი მნიშვნელობა და პრეფიქსიოდად იქცა. თუ ფორმებში – **წინადღეს** და **წინადღით** ის პრეფიქსიოდია, ასევე უნდა გაფორმდეს შესიტყვებაში – **წინა დღე**. ეს ეხება ფორმებს: წინა ღამე, წინა საუკუნე, წინა ტვინი, წინა დრო და ა. შ. ტერმინელემენტ **წინას** გაფორმების მიმართ, ვფიქრობთ, დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს **წინა** აფიქსიოდია თუ ზედსართავი, რითაც შესაძლებელი გახდება აღმოიფხვრას ის სიჭრელე, რომელიც ლექსიკონებში გვაქვს.

აქვე შევხებით **წინასწარ**- პრეფიქსიოდს. **წინასწარ** დროის ზმნიზედაა, თუმცა დაკარგული აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა რთულ სიტყვებთან და პრეფიქსიოდად არის ქცეული (ცხადია, არ ვგულისხმობთ მის გამოყენებას ზმნურ ფორმებთან). ის პრეფიქსიოდის მოდელს ქმნის და „წინა“-საგან განსხვავებით, სისტემურ ხასი-

ათს ატარებს. პრეფიქსოიდია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, 1998 წლის ორთოგრაფიულ ლექსიკონში, მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ და მართლწერის ლექსიკონში მედიისათვის, ქართულ-რუსულ ლექსიკონში (წინასწარხედვა, წინასწარმთქმელი, წინასწარგანზრახული და სხვ.), თუმცა არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს დარგობრივ ლექსიკონებში. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში **წინასწარ** მხოლოდ ერთ ფორმაშია პრეფიქსოიდი, ორ ლექსიკურ ერთეულში ზმნისართული ფუნქციითაა: წინასწარ დაძაბული, წინასწარ მოცემული. საერთოდ არ მოიაზრება ის პრეფიქსოიდად ენერგეტიკის ლექსიკონში: **წინასწარ არევა, წინასწარ გადახდა, წინასწარ შერევა** და სხვ. მსგავსი სურათია ნავთობისა და გაზის ინგლისურ-რუსულ-ქართულ ლექსიკონში. პრეფიქსოიდა არაორგანული მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ლექსიკონში: წინასწარგარდაქმნა, წინასწარწნება. მასმედიის ენობრივი მასალის კორპუსში მხოლოდ ზმნიზედური გაფორმებითაა: წინასწარ გათვლები, წინასწარ დაწერილი, წინასწარ მაჩვენებელი, წინასწარ მიღებული და სხვ. მხოლოდ ერთი ლექსიკური ერთეულია, რომელშიც **წინასწარ** პრეფიქსოიდა – **წინასწარგანჭვრეტა**.

**წინასწარ**- პრეფიქსოიდის გაფორმების საკითხი მარტივად გადაწყდება – სპეციალისტებმა, მასმედიის წარმომადგენლებმა და დაინტერესებულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ აკადემიურ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით **წინასწარ**- პრეფიქსოიდით წარმოდგენილი ფორმები.

## ლიტერატურა

**დათეშიძე 2013** – ნ. დათეშიძე, აფიქსოიდთა სიტყვაწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცამეტე, თბილისი.

**ოსაძე 1988** – მ. ოსაძე, თვისების აღმნიშვნელ უცხო წარმომავლობის ტერმინთა მორფოლოგიური გაფორმების საკითხები ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**ღამბაშიძე 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრიციპები, თბილისი.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

### ლექსიკონები

**ავტოტრანს. და საგზ. მოძრ. ორგან. ტერმ** – ავტოტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტერმინოლოგია, ისიდორე ქოჩიაშვილი, გიორგი ჯოხაძე.

**არაორგ. მასალ. და მეტ. ტერმ. განმ. ლექს. 2008** – არაორგანული მასალთმცოდნეობისა და მეტალურგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ინგლისური), ო. შურაძე, თბილისი.

**ბიოლ. ტერმ. ლექ. 2006** – ბიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, ლ. ბურდილაძე, თ. გამყრელიძე, თბილისი.

**გეოფ. ტერმ. 1998** – გეოფიზიკის ტერმინოლოგია, ი. ცუცქერიძე, თბილისი.

**ინგლ.-რუს.-ქართ. ენერგეტ. ლექს. 2000** – ინგლისურ-რუსულ-ქართული ენერგეტიკული ლექსიკონი, თბილისი.

**მართლწ. ლექს. მედ. 2016** – მართლწერის ლექსიკონი მედიცინისათვის, თბილისი.

**მოსწ. ორთ.-სტილ. ლექს.** – მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია.

**ნავთ. და გაზ. ინგლ.-რუს.-ქართ. ლექს. 2005** – ნავთობისა და გაზის ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**სამედ. ორთ. ლექს.** – სამედიცინო ორთოგრაფიული ლექსიკონი, გადაცემულია დასაბეჭდად.

**ტექნ. ტერმ., 1977** – ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი.

**ფსიქიატ. ენც. 1999** – ფსიქიატრიის ენციკლოპედია, თბილისი.

**ქართ.-ინგლ. პოლიგრ. საგამ. ლექს. 2003** – ქართულ-ინგლისური პოლიგრაფიული საგამომცემლო ლექსიკონი, ნოდარ მანჩხაშვილი, თბილისი.

**ქართ.-რუს. ლექს., 2013** – ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, თბილისი.

[corpus.leeds.ac.uk/internet.html](http://corpus.leeds.ac.uk/internet.html)

Natela Muzashvili

## On the Function of the Affixoids *çina-*, *çinasçar-*

### Summary

The paper deals with the function of the prefixoids **çina-** and **çinasçar-**. **çina-** is a preverb of place but it is often used as an adjective as well. In this case it returns back to the original form. In Georgian **çina-** is a prefixoid in most cases. It is an equivalent of Russian **пред-, до-**, e.g. *предотделочный от предкамера*. In Georgian the prefixoid **çina-** creates a systematic model but the principle of its functioning is often violated. The reviewed material made it clear that **çina** has lost its main function and has turned into a prefixoid. In this respect, a number of forms require to be revised and clarified in orthographic and specialized dictionaries. Take *çina piroba* for example – in the Georgian Explanatory Dictionary **çina** is a prefixoid in the term *çinapiroba* while in the orthographic dictionaries it is considered to be the first part of a syntagm or an adjective. As for the Dictionary for the Mass Media **çina-** is a prefixoid. The situation is varied in the specialized dictionaries.

The picture is similar in terms of the prefixoid **çinasçar-**. **çinasçar** is a preverb of condition but it has lost its main function and has turned into a prefixoid (obviously, we do not mean its use with the word forms). It creates a prefixoid model and has a systematic meaning in the academic dictionaries. The situation is varied in the specialized dictionaries. Unlike the prefixoid **çina-**, it is easy to find out its function. Specialists, the mass media specialists and interested people should rely on the academic orthographic dictionaries.